პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ივნისი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 132 (14736)

ქარელიის ასსრ 50 წლისაა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქარელიის საოლქო კომიტეტს, ქარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ქარელიის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ქარელიის ასს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ იუბილეს — ქარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავსა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით რესპუბლიკას დაჯილდოებას.

ქარელიის ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლება მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად. ქარელიის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა განუყრელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან, რომელიც ირნედა დიდ ყურადღებას ქარელიის ხალხის ბედისადმი, უშუალოდ მონაწილეობდა ქარელიის სოციალისტური გარდაქმნის გზების განსაზღვრაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქარელიის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა სახელოვანი ისტორიული გზა განვლეს, ისინი თავდადებით იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გმირულად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვრებს სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში, ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ქარელიის ხალხმა დიდი პატრიოტიზმი, მამაცობა და გმირობა გამოიჩინა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში. ახლა რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ძმური დახმარების მეოხებით ქარელია — შეფის რუსეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი განაპირა მხარე — გადაიქცა დიდად განვითარებული ეკონომიკის რესპუბლიკად, სამრეწველო წარმოების მოცულობა 50-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. წარმატებით ვითარდება მრეწველობის, სატყეო, ხისდამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდისა და მანქანათმშენებლობის დარგები. რესპუბლიკაში ყოველწლიურად სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმები, დიდად განვითარდა სარძეო მეცხოველეობა და მონადირეობა. მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

კარელიის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ დიდი მოღწევებით, შესანიშნავი შრომითი საჩუქრებით აღნიშნეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

კარელიის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება მკაფიოდ მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კარელიის ასს რესპუბლიკის მშრომელები სოლქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ქარელიის ასს რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ქარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წლის 5 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ ძაძუკაშვილი



გუარჯიანის რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი ნოდარ ილიას-ძე ძაძუკაშვილი.

15 წლის უზის ტრაქტორის სჯეს ნ. ძაძუკაშვილი. მინდვრებისა და პლანტაციების ათასობით ჰექტარი დამუშავა მან ამ დროის განმავლობაში. იგი ყოველგვარ სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ წინასაარჩევნო დღეებში ნ. ძაძუკაშვილი გაათავეცებული ენერგიით შრომობს მუხლიერ კოლმეურნეობაში. იგი ამუშავებს ვენახებში მოკრივთა-შორის ნიადაგს, აწარმოებს ვაზის შეწამვლას. 1,5-2 ნორმა — აი მისი სამუშაო დღის შედეგი.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ ძაძუკაშვილი.

წერილი ნ. ძაძუკაშვილის შესახებ იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ

ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

პეტროზავოდსკი, 6 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა სკკპ ქარელიის საოლქო კომიტეტის, ქარელიის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, სკკპ პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქარელიის ასს რესპუბლიკის 50 წლისთავს. სხდომის პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ბ. პესლინი, ქარელიის ასს რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, ოლქების და მხარეების, რუსეთის სფსრ ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები, ოქტომბერი სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა ქარელიის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ა. კოჩეტოვმა. გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. დარბაზში შემოიქვეს რესპუბლიკის დროშა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა, პეტროზავოდსკის დროშა. ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს პ. ნ. დემიჩევს.

ნება მიბოძეთ, თქვა მან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით ყველა მშრომელს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, სამხედრო ოლქის საბჭოთა არმიის ნაწილების მეომრებს კარელიის ლენინის ორდენსანი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი 50 წლისთავი.

კარელიის სახელმწიფოებრიობის სათავეებთან, თქვა ამბ. პ. ნ. დემიჩევმა, იდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. თავისი დაბადების პირველი დღეებიდანვე კარელიის შრომითი კომუნა გრძნობდა მის განუწყვეტელ ზრუნვას. საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური განთავისუფლება მოუტანა კარელიის მშრომელებს და დაუსახა დიდებული პერსპექტივები ახალი ნათელი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ამ დღეებში, განაგრძო ორატორმა, კარელიის მშრომელები სიამაყით ავლებენ თვალს თავიანთი ბრძოლისა და გამარჯვებების შედეგებს.

საბჭოთა კარელია, თქვა შემდეგ პ. ნ. დემიჩევმა, თავის 50 წლისთავს ზეიმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ. ჩვენის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები იქნება სოციალისტური დემოკრატიზმის გამარჯვების ნამდვილი დღესასწაული, კვლავ ცხადყოფს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ურღვევ სასიცოცხლო ძალას.

წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წელი უწინარეს ყოვლისა იყო საბჭოთა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრების წელი, როცა ნამდვილად პრაქტიკული შედეგები მოჰყვა ეკონომიური პოლიტიკის იმ ახალ პრინციპებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, რომლებიც შეიმუშავეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა და პარტიის XXIII ყრილობამ.

ეს იყო საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური პოზიციებისა და ავტორიტეტის შემდგომი განმტკიცების, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების მნიშვნელოვანი ზრდის წლები, მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის ისტორიულ მონაპოვართა უფრთოესი საერთაშორისო აღიარების წლები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის წინასაარჩევნო მიმართვაში ამოჩრჩვლებისადმი შეაჯამა ოთხი წლის მანძილზე განეული მუშაობის შედეგები, დასახა ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირი მიუახლოვდა შეერთებულ შტატებს, სოლო ზოგიერთი მაჩვენებლით აღემატება ამ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

მრავალი ძირითადი მიმართულებით ჩვენს მეცნიერებს მტკიცედ უჭირავს მოწინავე პოზიციები.

წარმოების სწრაფმა ზრდამ, ეროვნული შემოსავლის გადიდებამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებინა მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობები.

პ. ნ. დემიჩევი თავის სიტყვაში შეეხო ზოგიერთ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, კარელიის მრეწველობასა და მშენებლობაში. ახლა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ყურადღებას ცენტრში უნდა იყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მართვის სისტემის სრულყოფის, დროის ახალი მოთხოვნების სულისკვეთებით კადრების აღზრდის საკითხები.

ჩვენი წინსვლა, თქვა შემდეგ ორატორმა, გაისაკრთვნებულია თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე იდეებით — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალებით.

სოციალისტური შეგნება გაბატონებული გახდა ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იდეური აღზრდის პრობლემები ჩვენში თავისთავად, ავტომატურად იჭრებოდეს. პირიქით, ჩვენ დაზღვეული არა ვართ და კიდევ კარგახანს ვერ ვიქნებით დაზღვეული ამ ცდებისაგან, რომ ჭეშმარიტებად გასაღონ ესა თუ ის ცალმხრივი, სუბიექტური მოსაზრებებით ნაკარნახევი მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებისადმი. მაგრამ ყველა პირობა გვაქვს, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ასეთ მიდგომას და დავამკვიდროთ მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა, როგორც სოციალიზმის ბუნებისათვის ერთადერთი შესაფერისი მიდგომა.

კომუნისტური პარტია მეცნიერულად გამოსატავს მშრომელთა ყველა ფენის ინტერესებს, წყვეტს სოციალურ საკითხებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე. ზრუნვა კომუნიზმის ბედისათვის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვისათვის მოითხოვს საზოგადოებრივი განვითარების პირობების ღრმა, ყოვლისმხრივ ანალიზს, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას, უახლოესი და პერსპექტიული მიზნების, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შესამების სწორი გზების პოვნას.

ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური შეკავშირება, მასების კლასობრივი თვითშეგნების, მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე იდეებისათვის, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლთა კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება — ამ მიზნებით ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია თავის იდეოლოგიურ საქმიანობაში.

ამ საქმიანობის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც იმის გამო, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ობიექტურად მოითხოვს ყველა მოქალაქის შეგნების სულ უფრო მაღალ დონეს, ისე სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების გამო.

იდეოლოგიურ საქმიანობაში წარმატებანი წარმოუდგენელია, თუ ყოველდღიურად არ ვაკეთებთ ბრძოლა, უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, ეგოიზმის, ანტისაზოგადოებრივი ქცევის, წარსულის გადმონაშთების

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

როგორ სრულდება რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დადგენილება

კაპიტალური მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დადგენილება კაპიტალურ მშენებლობის კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ და აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწიეს.

რესპუბლიკის თვალ რიგ რაიონებსა და ქალაქებში, დიდ მშენებლობებზე მოწყობილია მუშათა მოსამზადებელი სასწავლო კომბინატები, ეწყობა სემინარები, ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმები. საქართველოს ჯ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მოქმედებს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ხორციელდება მშენებელთა საბინაო და საწარმოო პირობების, სამედიცინო მოსსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ არსებითი ნაკლოვანებანია მშენებელთა კადრების მომზადების, აღზრდისა და შენარჩუნების საქმეში.

რესპუბლიკის ბევრ მშენებლობაზე შექმნილი არ არის პირობები ფაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, საკმაო რაოდენობით არ იყენებენ მეორე მეცნიერებიკის საშუალებებს და მექანიზებულ ინსტრუმენტებს, სამუშაოთა მნიშვნელოვანი ხიოლობა სრულდება ხელით, ნელა იზრდება შრომის ნაყოფიერება. ამ მხრივ არასასურველი მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის სამშენებლო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა საქვეუწყებო მთელ რიგ ორგანიზაციებში, სადაც 1969 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმით გათვალისწინებულს.

სამუშაოთა ხუსტი ორგანიზაციის გამო, აგრეთვე იმის შედეგად, რომ მასალებითა და მექანიზმებით დროულად არ უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილები, შარშან ბევრი იყო მოცდენა.

ბიურომ დადგენილებაში შემდეგ ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტი და რაიონი, მშენებელთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეწევიან პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას მშენებლებში, საჭირო პირობებს არ ქმნიან შრომის ნაყოფიერებისათვის, მშრომელთა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: წარმოების კულტურის ამაღლება, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელება, შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების დანერგვა, საწარმოთა სოციალური განვითარების გეგმების შემუშავება და კადრებთან მუშაობა, არ ზრუნავენ მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სუსტად არის მოწყობილი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების ტექნიკური სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა ოსტატებსა და სამუშაოთა მწარმოებლებს შორის, კალკულაციის სამსახურთა მუშაკებს, ახალგაზრდა მუშებსა და მოზარდებს შორის. კადრების განაყოფიერებანი ზოგჯერ ეწევიან მხოლოდ მიღებისა და დათხოვნის დოკუმენტების გაფორმებას. ორგანიზაციებში არ არის კადრების საზოგადოებრივ განაყოფიერებათა შექმნის პრაქტიკა, რომლებიც განახორციელებენ მუშების დინამიკის ღონისძიებებს.

სამშენებლო ტრესტებსა და სამმართველოებში ნაკლებად ეწყობა შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან, ახალგაზრდა სპეციალისტებთან, ინფორმაციები და საუბრები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე, მუშაობის შედეგების განხილვა საერთო კრებებზე. არ სახავენ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს. ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციასა და საწარმოში სუსტად ზრუნავენ მშენებელთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მათს კვებაზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, მომსახურებაზე.

რესპუბლიკის ზოგიერთ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციაში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობის გამო კოლექტივებს, საამქროებისა და ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრება ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ყოველივე ეს უარყოფითის გავლენას ახდენს კადრების შენარჩუნებაზე და მშენებლობის, განსაკუთრებით საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხზე.

არასაკმარისი ტემპით ფართოვდება კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებელი ტექნიკური ბაზა. შარშან დაგეგმილი 2.370 მოსწავლის ადგილიდან საექსპლოატაციოდ გადასცეს მხოლოდ 600-ადგილიანი ორი ტექნიკური სასწავლებელი.

კადრებით კაპიტალური მშენებლობის უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, „საქმმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს, რესპუბლიკის სხვა სამშენებლო ორგანიზაციებს დასახონ და განახორციელონ პროგრესული მეთოდებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი, შრომის ანაზღაურების უფრო სრულყოფილი სისტემების, წარმოებისა და მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი, უფრო ფართოდ გამოიყენონ შრეკინოს ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის დადებითი გამოცდილება, რათა მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდით გაადიდონ წარმოების მოცულობა. საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი სასწავლო კომბინატებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ქსელის. შემდგომი გაფართოებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმას, რომ ახალ მუშებს შეასწავლონ მშენებლისა და მემონტაჟის პროფესიები.

იმ საწარმოების, ორგანიზაციების, სამმართველოების, ტრესტების ხელმძღვანელებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, მათს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გადაუდებელი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას კადრებთან მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, განმტკიცდეს საწარმოო და შრომითი დისციპლინა, შეიმუშაონ კადრებთან მუშაობის გეგმები და საწარმოთა კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმები, შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ მათს შესრულებაზე, მოაწყონ კადრების ტექნიკური სწავლება, დასახონ ოსტატთა, სამუშაოთა მწარმოებლების, ცალკეული სამსახურების მუშაკთა, ახალგაზრდა მუშათა და მოზარდთა შორის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა გაკეტდეს კადრების განაყოფილებების მუშაობა, უფრო ფართოდ დანერგოს საზოგადოებრივი კადრების განაყოფილებანი სამშენებლო სამმართველოებსა და ტრესტებში.

სისტემატურად უნდა ვეცდილობდეთ მივადწიოთ იმას, რომ შემცირდეს მძიმე ფიზიკური შრომა, უკეთ გამოვიყენოთ სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, უფრო ფართოდ დავნერგოთ მცირე მექანიზაციის საშუალებანი, თვითეულ სამუშაო ადგილზე შევქმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები. გადაჭრით ვებრძოლოთ სამუშაო დროის დაკარგვას; შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული დასვენების გაუმჯობესების ღონისძიებანი, სათანადო წესრიგში მოვიყვანოთ საერთო საცხოვრებლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები; დავსახოთ სოციალისტური შეჯიბრების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისების ახალი ფორმები; ყოველდღიურად ვიბრძოლოთ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, „ცეკავშრის“ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, მთავარმომარაგებასთან, იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ, — შეიმუშაონ და განახორციელონ მშენებლობებსა და სამშენებლო საწარმოებში საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ის ობიექტები, რომლებიც დაშორებული არიან საზოგადოებრივი ჭიალისაგან, უნარნელყოფ სასადილოებით, ბუფეტებით, მაღაზიებით და ფარდულებით.

რესპუბლიკის ოლქებსა და ქალაქებსა და რაიონების პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაევალათ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში კადრების დენადობის ლიკვიდაციისათვის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისათვის, მშენებელთა საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობების, საზოგადოებრივი კვებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. (საქდესი).

მეგუთე დღე კოსმოსში

საქდესის ცნობა

კოსმონავტების ანდრიან ნიკოლაევისა და ვიტალი სევასტიანოვის მეხუთე სამუშაო დღე დაახლოებით თექვსმეტ საათს გრძელდებოდა და დამთავრდა 6 ივნისს ხუთ საათზე მოსკოვის დროით.

ფრენის ამ დღის განმავლობაში „სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა შეასრულა ადგილმდები მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები და გამოკვლევანი. კერძოდ, შეფასდა ხომალდის საცხოვრებელი ნაკვეთურების სხვადასხვა ზონაში ტემპერატურა საკონტროლო-გასაზომი ხელსაწყოს საშუალებით. ფრენის 63-ე და 66-ე გარშემოვლის დროს შესრულდა პასიური შებრუნების რეჟიმში ხომალდის ერთღერძიანი ორიენტაციის სიზუსტის განსაზღვრის ექსპერიმენტი.

რადიოკავშირის ერთ-ერთი ხეანსის დროს კოსმონავტებმა გეიამპეს დაკვირვებისა და დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფირების შესახებ. ბორტინჟინერმა ვიტალი სევასტიანოვმა გვაცნობა, რომ აკვირდებოდა განათებულ მხარეზე ტროპიულ შტორმს. ამასთან კარგად ჩანდა სანაპირო მოქცევის ტალღები. ანდრიან ნიკოლაევმა ილაპარაკა საინტერესო დაკვირვებებზე და დედამიწის ზედაპირისა და ჰორიზონტის კინოგადაღებაზე ტერმინატორის რაიონში — ღღისა და ღამის საზღვრის რაიონში ფრენის დროს. წინა დღეებში კოსმონავტებმა გადაიღეს ალანეტის ღრუბლის საფარი, აკვირდებოდნენ ციკლონსა და ელჭექის მოვლენებს.

კოსმონავტები იუწყებიან, რომ ხძინავთ ორბიტულ ნაკვეთურში საძინებელ ტომრებში. როგორც კოსმონავტებმა თქვეს, ტომრებში ძილი მეტად მოსახერხებელია. დასვენების ნაკვეთურში პირობები კომფორტულია: ტემპერატურაა 24 გრადუსი ცელსიუსით, წნევა და შეფარდებითი ტენიანობა დედამიწის უახლოვდება.

კოსმონავტებს მშვიდად ხძინავთ და, როგორც წესი, ხაზრებს არ ხედავენ. ძილის ხანგრძლივობა დაახლოებით რვა საათს შეადგენს. ძილის შემდეგ კოსმონავტები თავს მხნედ გრძნობენ. კარგ გუნებაზე არიან და მათი შრომისუნარიანობა მაღალ დონეზეა. ნიკოლაევი და სევასტიანოვი იუწყებიან, რომ მადა კარგი აქვთ, კოსმოსური კვებით კმაყოფილნი არიან.

კოსმონავტები ჭამენ სხვადასხვა ნატურალურ და დაკონსერვებულ პროდუქტებს, პირველ კერძად აქვთ მეკუნის შჩი, ბორშჩი, წვნიანი ხარჩო და სხვ. პირველ კერძებსა და ყავას ათბობენ უშუალოდ ჭამის წინ. ახორციმენტში აქვთ აგრეთვე მეორე კერძებიც — ანტრეკოტი, ქათმის ხორცი, კვერცხიანი დაკეპილი ღორის ხორცი, შაშხი. განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევენ გემრიელ ხილის წვენებს.

ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი დიდი ინტერესით აღევნებენ თვალს დედამიწის ამბებს, ხპორტის ახალ ამბებს, კერძოდ, მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში, დიდი სიამოვნებით ისმენენ მუსიკას.

ფრენის სამუშაო დღის ბოლოს ამხანაგმა ნიკოლაევმა ისე მოახდინა ხომალდის ორიენტაცია, რომ მზის ბატარიების სიბრტყეები განლაგდნენ მზის მიმართ 70 გრადუსის კუთხით. ხომალდის ეს მდგომარეობა შერჩეულია დენის ხაბორტად წყაროების დამუხტვის გაანგარიშებული რეჟიმის პირობებიდან, რადგან ეკიპაჟის დასვენების საათებში ელექტროენერგია უმნიშვნელოდ იხარჯება.

შემდეგ განხორციელდა ხომალდის შებრუნება შერჩეული მიმართულების შეფარდებით წამში ხამი გრადუსის კუთხური სიჩქარით.

6 ივნისს 13 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო ხომალდ „სოიუზ-9“-ის ეკიპაჟის ფრენის ახალი — მეექვსე დღე. ნიკოლაევი და სევასტიანოვი თავს ჯანმრთელად გრძნობენ, ასრულებენ მორიგი დღის ექსპერიმენტებისა და კვლევის პროგრამას.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ ძამუკაშვილი

ვაზისუბნელი ტრაქტორისტი

რვა კლასის დამთავრების შემდეგ ჯანღონით სავსე ვაზისუბნელმა ნოდარ ძამუკაშვილმა მექანიზატორის პროფესია აირჩია. „ამწეს პატრონი უნდა. თუ გული გულობს, თავის გამოჩენა ყველგან შეიძლება!“ — გაიფლო გულში ნოდარმა და ვაზისუბნის კოლმეურნეობაში ტრაქტორის მიმბმელად დაიწყო მუშაობა. ეს იყო თხუთმეტიოდე წლის წინათ.

კარგად ახსოვს ნოდარს ის დღე, როცა მშობლიური სოფლის მიწას პირველად შეეეხო. გულით გაიხარა, როცა მის მიერ დამუშავებულ ვენახებში ყურძნის უზვი მოსავალი მოვიდა. მაშინ ნოდარი არავის არ უსხენებია მოწინავეთა რიგებში, მაგრამ ახალგაზრდა კაცისათვის, დამწყები მექანიზატორისათვის ისიც საკმაო იყო, რომ მისი ზოფლარი დაფასდა, ყურძნის უზვი მოსავალი მოვიდა.

დღე დღეს მისდევდა, წელი წელს. ნოდარი დაბეჯითებით, გულდაგულ შრომობდა, ეუფლებოდა მექანიზატორის რთულ და საპასუხო საქმეს. და როცა დრო მოვიდა, იგი საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა. როგორც საბრძოლო მომზადების ჩინებულმა ახალგაზრდამ, იქაც ისახელა თავი.

კვლავ მშობლიური სოფელი, კვლავ ტრაქტორის საჭე! მიწას ხნავს, ვენახს წამლავს. სასახელო შრომაში წლები შეუმჩნევლად გადიოდა. მაგრამ ვაზისუბნელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გულითადი ახალგაზრდის შრომა. კუთხეგარი, დაუზარელი ახალგაზრდა ყოველწლიურად ჩინებულ მაჩვენებლებს აღწევს. და აი, იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. სოფელში ეს არავის არ გაკვირვებია. ნოდარს ერთხმად დაუჭირეს მხარი დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი ქვეყნის პარლამენტში დასახელებაზე და რეგისტრაციაშიც გაატარეს.

ნდობით აღჭურვილი პირები ახალგაზრდა ტრაქტორისტზე, მის სასახელო შრომაზე ლაპარაკობენ, ამომრჩევლებს მოუთხრობენ მის კეთილობაზე, ტრაქტორისტის საქმიანობა მეექვსედ მიღებული მოსავლით ფასდება. 1967 წელს მან 472 ჰექტარის ნაცვლად 951 ჰექტარი მიწა მოხნა და 1.026 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალები დაზოგა, მომდევნო წელს კი გეგმა გაუდიდეს, მაგრამ არც ამას შეუშინდა, გეგმა მაინც გადამეტებით შეასრულა, ნაცვლად 837 ჰექტარისა 1.080 ჰექტარი მიწა მოხნა და 648 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ასევე იყო შარშანაც. ნოდარ ძამუკაშვილის ბრიგადამ დამუშავებულ ბალებსა და ვენახებში ყოველთვის უზვი მოსავალი მოდის. ეს იმიტომ, რომ იგი მტკიცედ იცავს აგროწესებს, ყოველ საბუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებს.

ნ. ძამუკაშვილის დამუშავებული ნაკვეთები ყოველთვის სანიმუშოა. ამიტომაც სოფლის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, როცა მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ამოწმებენ, ერთხმად ამბობენ ხოლმე: „ჩინებულია, ნოდარ!“

ჩინებულია, ნოდარ! — იმეორებენ თანასოფლელები, ნდობით აღჭურვილი პირები, მისი მაგალითით აღფრთოვანებული თანამოსაქმეები.

ნოდარ ძამუკაშვილის შრომა-საქმიანობაში პირველი ნაბიჯები კარგად მახსოვს, მახსოვს როგორ მიუჯდა პირველად ტრაქტორის საჭეს, როგორ დღელავდა. ხუმრობა ხომ არ იყო — მუხლუხიანი, მძიმე ტრაქტორის საჭის მართვა, მით უმეტეს მაშინ, როცა ტრაქტორისტი ახალბედა და გამოუცდელია. მაგრამ საქმით გატაცებამ და დასახული მიზნის მიღწევის ახალგაზრდულმა სურვილმა გაიმარჯვა. ნოდარი ჩინებული ტრაქტორისტი დადგა. მაგრამ ამით როდი დამთავრებულა ყველაფერი.

დღეს ცხოვრება წინ მიდის, წარმატების მიღწევისათვის მარტო საქმის სიყვარული აღარ კმარა, საჭიროა ცოდნა, ცოდნა კი სწავლით შეიძინება. სწავლა კი ახლა ისევეა საჭირო ახალგაზრდა კაცისათვის, როგორც წყალი და ჰაერი. ეს კარგად იცის ნოდარმა, და შრომასთან ერთად ცოდნის დონესაც იმაღლებს. სჭობს გვიან, ვიდრე არასოდეს — თქვა და ასრულებს კიდეც, იგი ახლა ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასშია.

ამ დღეებში მას შეხვდრები მოუწყეს გურჯაანის და საგარეჯოს რაიონებში. თავმდაბალი, შრომისმოყვარე ახალგაზრდის სახელზე მოუთხრობენ ამომრჩევლებს. გურჯაანში მისი შრომითი საქმიანობის შესახებ ილაპარაკა სოფელ შროშის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა გიორგი მაისურაძემ, ტრაქტორისტს შეუქების მარჯვენა, კაეკაცობა. ნოდარ ძამუკაშვილმა [illegible] საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში. ბუკურიელ მექანიზატორთა სახელით თანამოსაქმეს მიეალმა [illegible] ალექსანდრიაშვილი. ნოდარს ნიამაგი [illegible] ლმენ, როცა მასზე ლაპარაკობენ. ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატს განაწესებ აძლევენ, ახალგაზრდა ტრაქტორისტი კი მორცხვად, მაგრამ დამაჯერებლად პირობას აძლევს, რომ ნდობას გაამართლებს. აი რა უთხრა მან კაკაბეთელ ამომრჩევლებს:

— ჩემი დასახელება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს, დეპუტატობის კანდიდატად ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც პარტია და მთავრობა ჩვენს უბრალო მშრომელი ადამიანებისადმი. ეს არის არა მარტო ჩემი შრომის, არამედ საერთოდ მექანიზატორთა შრომის დიდი დაფასება. ვეცდები, როგორც რიგითმა კოლმეურნემ და მექანიზატორმა, მთელი ჩემი ენერგია მოვახმარო მშობლიური კოლმეურნეობის შემდგომ აღორძინებას და ვიქნები ჩემი ამომრჩევლების ღირსეული დეპუტატი.

ჩინებული, მშრომელი კაცის სიტყვაც კარგია და საქმეც.

თ. კანაშვილი,
გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი.

ზეიმი

კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში

(დასასრული)

წინააღმდეგ, რევიზიონისტული და ნაციონალისტური გამოვლინებების წინააღმდეგ, ჩამორჩენილობისა და რუტინის წინააღმდეგ.

სწორედ ეს არის ყველა კომუნისტის, ყველა კომკავშირელის, ყველა საბჭოთა ადამიანის ამოცანა. აქტიურად უნდა ჩამოვაყალიბოთ, გაეაზარდოთ და განვავითაროთ ჩვენი ახალი საბჭოთა ტრადიციები, რომლებიც ემყარება სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებს. უნდა აღვაზარდოთ კომუნიზმის მშენებლის მაღალი მორალის მქონე ადამიანი. ამასთან ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური პრინციპები მკვიდრდება ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ცრურწმენების, უცხო შეხედულებათა მატარებლების წინააღმდეგ გახუნჯვებელ ბრძოლაში.

დღეს სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ კულტურის მოღვაწეებს. მათი მრომის ხარისხზე ბევრად არის დამოკიდებული კომუნიზმის მშენებელთა იდეურად მოძღვნებული თაობის ფორმირება.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება სავსებით თავისუფალია, რათა ემსახუროს კეთილშობილურ მიზნებსა და იდეალებს.

სოციალისტური კულტურა უდიდესი მნიშვნელობის საზოგადოებრივი საქმეა, და ამიტომ საკალდებულოა ხელოვანის მაღალი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

შემდეგ პ. ნ. დემიჩევი დაწვრილებით შეეხო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, ბრძოლას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

ლენინის დიადმა მოძღვრებამ, თქვა მან, საშუალება მისცა მუშათა კლასს მკვეთრად შემოებრუნებინა ისტორიის მთელი მსვლელობა, მოესპო იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობა, დასაბამი მიეცა ახალი უპირველესობისათვის — მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქისათვის.

კაცობრობის ისტორიული ბედის ამ შემობრუნებაში უდიდესი დასმულია მიუძღვის ჩვენი სამშობლოს შუმათა კლასს, გლეხობასა და მშრომელ ინტელიგენციას, რევოლუციონერთა ყველა თაობას, ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, მის შემქმნელსა და ბელადს — ვლადიმერ ილიასძე ლენინს.

ჩვენი ხალხის ყველა ისტორიული გარდაქმნის სათავეში დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში — ეს არის მტკიცე გარანტია იმისა, რომ საბჭოთა ქვეყანა წლითიწლობით სულ უფრო გაძლიერდება და აყვავდება.

— ეს არის ყველა მშრომელი კლასისა და ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის რეალური შემადგენელი ძალა;

— ეს არის ცხოველმყოფელი წყარო თანმიმდევრული პოლიტიკისა, რომლის მიზანია ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცება;

— ეს არის ჩვენი წყობილების სიმტკიცის, სოციალისტურ მონაპოვართა უურყევობის, კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი წინსვლის საფუძველი.

პ. ნ. დემიჩევმა შემდეგ თქვა, რომ რესპუბლიკის 50 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გამოუგზავნეს პარტიის კარელიის საოლქო კომიტეტს, კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და წაიკითხა ამ მისალმების ტექსტი.

წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კარელიის ასს რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ. შეკრებილთა ტაშის გრიალში პ. ნ. დემიჩევმა რესპუბლიკის დროშას მიაბნია ორდენი.

დასასრულ მან ერთხელ კიდევ მხურვალედ მიულოცა დამსწრეთ, რესპუბლიკის ყველა მშრომელს სამშობლოს მაღალი ჯილდო, უსურვა ახალი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში.

პ. ნ. დემიჩევის სიტყვა დიდი აურეადღებით მოისმინეს და ერთხელ გაისმა ტაში.

სკკპ კარელიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. სენენინმა მხურვალე და გულითადი მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა.

კარელიის ასს რესპუბლიკის 50 წლისთავს აღენიშნავთ ლენინის იუბილეს წელს, თქვა მან თავისი მოხსენების დასაწყისში. ჩვენ ვამაყობთ, რომ კარელიის ასს რესპუბლიკის აკვანთან იდგა დიდი ლენინი, რომ კარელიის მთელი ნახევარსაუკუნოვანი გზა — ეს არის ყოველისმეტი ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის გზა.

საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კარელიის ხალხი, ისევე როგორც სსრ კავშირის სხვა ხალხებმა, შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა თავისუფალი, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების მშენებლობაში.

რუსეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ვ. პისანმა გულითადად მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს მაღალი ჯილდო.

სახელოსანმენებლო კომბინატის უფროსმა მუნიციპალურ-ტექნიკური შრომის გმირმა ი. მ. ხუტუნენმა, სრულიად საკავშირო ალკ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ა. შარაპოვმა, საბჭოთა მეურნეობა „ილინსკის“ მფეველმა, კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. ნ. კუკინმა და სხვა ორატორებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობას აღუთქვეს, რომ ტბების მხარის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ ამოცანები, რომლებიც საბჭოლომ დაუსახა.

ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოსადმი.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. მისი მონაწილენი მეერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით

საფრანგეთის მთავრობის მიწვევით 1970 წლის 1-5 ივნისს საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

პარიზში ყოფნის დროს ა. ა. გრომიკო მიიღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ, პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შაბან-დელმასმა. ა. ა. გრომიკო ესაუბრა აგრეთვე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს ვალერი ჟისკარ დ' ესტენს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი რამდენჯერმე შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. შუმანს.

როგორც ნათქვამია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივ კომუნიკეში, საუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რომლებიც ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის საკითხები და საერთაშორისო ვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ღონისძიებებმა, რომლებიც ამ ბოლო წლებში ორივე მთავრობამ განახორციელა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარებისათვის 1966 წლის 30 ივნისის დეკლარაციისა და სხვა ერთობლივი დოკუმენტების სულისკვეთებით, უკვე გამოიღეს ნაყოფი. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ეს შედეგები შეეხსაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ესწრაფვის სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ყველა დარგში — პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგებში.

ორივე მინისტრმა დაადასტურა, რომ მათი მთავრობები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესების ერთგულნი არიან. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განიარაღების პრობლემას.

მხარეებმა განიხილეს ევროპის პრობლემები და აღნიშნეს, რომ მათი საერთო მიზანია შეანელონ დაძაბულობა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში, შეეთანხმონ ისინი მშვიდობისა და უშიშროების საკითხებში, განავითარონ თანამშრომლობა როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე მთელი კონტინენტის ფარგლებში.

მხარეებმა აღნიშნეს ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავების საშიში ხასიათი და დაადასტურეს თავიანთი სავსებით ერთნაირი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ საჭიროა რაც შეძლება მალე მოწესრიგდეს პოლიტიკურად ამ რაიონის მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულების საფუძველზე.

მხარეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ინდოჩინეთში ვითარება მწვავდება და უცხოელთის ინტერვენციასულ უფრო აფართოებს და აქტიურებს კონფლიქტს. მათ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთს თითქმის ერთნაირი შეხედულებანი აქვთ იმის თაობაზე, რომ ინდოჩინეთის პრობლემები უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, რაც უკვე აისახა ორივე მთავრობის მთელ რიგ წინა დოკუმენტებში.

დასასრულ კომუნიკეში ნათქვამია:

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა საბჭოთა კავშირში 1970 წლის 6-13 ოქტომბერს.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და საფრანგეთის მთავრობამ მიიწვიეს ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი და ნ. ვ. პოდგორნი საფრანგეთში. ეს ოფიციალური ვიზიტი გაიმართება 1971 წელს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სთხოვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. შუმანს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. მ. შუმანი კმაყოფილებით დთანხმდა ამ მოწვევას. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კომუნიკე

◆

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარებისათვის 1966 წლის 30 ივნისის დეკლარაციისა და სხვა ერთობლივი დოკუმენტების სულისკვეთებით, უკვე გამოიღეს ნაყოფი. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ეს შედეგები შეეხსაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ესწრაფვის სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ყველა დარგში — პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგებში.

ორივე მინისტრმა დაადასტურა, რომ მათი მთავრობები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესების ერთგულნი არიან. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განიარაღების პრობლემას.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა

5 ივნისს სსრ კავშირის სახმეწიფო კომიტეტი საინფორმაციო საკითხებში [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ᲘᲛ ᲥᲐᲠᲪᲔᲪᲮᲚᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲖᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲗ ᲘᲓᲔᲦᲚᲘᲡᲐᲜᲬᲘᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲦᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲐ ᲐᲬᲧᲝᲛᲜᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ, ᲘᲡᲮᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲤᲠᲝᲜᲢᲣᲚ ᲞᲐᲘᲖᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲒᲛᲘᲠᲑᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲧᲕᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲙᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲫᲛᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ.

ᲝᲛᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲛ, ᲮᲔᲛᲓᲐᲚᲔᲑᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲜᲗᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲡ ᲘᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲘᲪ ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲮᲐᲡᲐᲛᲔᲑᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲝᲚᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲑᲔᲑᲘᲗᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲩᲣᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲪ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲠᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲝᲑᲚᲝᲛᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲙᲘᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲝᲜᲣᲚ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ. 1923 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲠ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ, ᲮᲚᲘᲡ 1928 ᲬᲚᲘᲡ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ. ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲜᲐ ᲛᲐᲡ. ᲝᲪᲔᲓᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲡᲘᲛᲭᲝᲡᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲓᲐ ᲘᲒᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ, ᲙᲘᲚᲐᲯᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲒᲠ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲗᲐᲜᲒᲐᲜᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲐᲚᲬᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲝᲚᲓᲐ ᲬᲘᲜ. ᲐᲡᲔ ᲒᲐᲐᲠᲐ ᲐᲡᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲓᲐ.

ᲫᲚᲔᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲓᲔᲠᲘᲡᲐ ᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ. 1941 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, 390-Ე ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲔᲡᲐᲜᲢᲔᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲠ. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲪᲔ ᲘᲧᲝ, ᲫᲔᲠᲩᲮᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲯᲝᲯᲮᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ, ᲔᲡ ᲐᲓᲔᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲯᲐᲕᲔᲡ ᲭᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲯᲝᲯᲮᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲛᲝᲔᲪᲕᲐ ᲝᲛᲘᲡ.

ᲫᲔᲠᲩᲮᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲢᲝᲕᲘᲐᲛᲤᲠᲗᲕᲔᲘᲗᲐ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲘᲯᲐᲕᲔᲡ ᲭᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲯᲝᲯᲮᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲛᲝᲔᲪᲕᲐ ᲝᲛᲘᲡ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲘᲯᲐᲕᲔᲡ ᲭᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲯᲝᲯᲮᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲛᲝᲔᲪᲕᲐ ᲝᲛᲘᲡ. ᲫᲔᲠᲩᲮᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲖᲔ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲔᲓᲐᲗ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲘᲯᲐᲕᲔᲡ ᲭᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲯᲝᲯᲮᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲛᲝᲔᲪᲕᲐ ᲝᲛᲘᲡ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

პუშკინის დღეები

დიდი წინაპარი და თანამედროვე

ირაკლი აბაშიძე

ერთი შესანიშნავი ლიტერატურული და საზოგადოებრივ-კულტურული ტრადიცია კიდევ შეიქმნა რუსეთში: ყოველწლიურად, ივნისის პირველ რიცხვებში ლენინგრადსა, ნოვგოროდსა და ფსკოვში, მიხაილოვსკოეს და ტრიგორიეში ალექსანდრე პუშკინის შობლიურ მიწაზე, ხოლო შემდეგ მოსკოვში დიდი ზეიმით აღინიშნება „პუშკინის დღეები“.

ამ დიდებული წამოწყების იდეა დაიბადა ამ რამდენიმე წლის წინათ, შოთა რუსთაველის იუბილეს შემდეგ და მისი ერთი ინიციატორთაგანი, ხოლო შემდეგ ამ წლების მანძილზე მისი უცვლელი ორგანიზატორი და ხელმძღვანელია ჩვენი თანამემამულე, გამოჩენილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ირაკლი ანდრონიკაშვილი.

ეს დღეები ახლა უკვე ერთ ყველაზე შესანიშნავ საზეიმო დღეებად იქცა, განსაკუთრებით საბჭოთა მწერლებისათვის. ივნისის პირველ რიცხვებს ჩვენ ფაქარებთ ჩვენს უსაყვარლეს ადამიანთან, ჩვენს თანამედროვე პოეტთან არიან ხომ პოეტები, რომელნიც ადამიანთა ყველა თაობის თანამედროვენი არიან; მით უფრო საბჭოთა პოეტებისა. ჩვენი დიდი წინაპარი და თანამედროვე, — რატომ არ შეიძლება ითქვას ასე?

რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა „პუშკინის დღეებში“ და ყოველთვის წარუშლელი შთაბეჭდილებით დავბრუნდი უკან. განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო შარშანდელი ზეიმი, მიუხედავად ოკეანურული წვიმებისა მიხაილოვსკოეში.

მიხაილოვსკოე... რა დიდებულად ჟღერს ეს სახელი. მიხაილოვსკოე, ვიამარი რუსთაველი, ხორასანი, ელადის ქვეყანა ქალაქი, რომელნიც „ნიანგური ზერეძეს შობიერ ქალაქებად თვლიან თავიანთ თავს — როგორ ალამაზებენ და ამაღლებენ ჩვენს პლანეტას ეს წმინდა ადგილები.

წელს ლენინგრადიდან იწყება, შარშან ნოვგოროდიდან დაიწყო ეს დღეები. ზუსტად 140 წლის წინ, 1829 წელს, ზუსტად ივნისის პირველ რიცხვებში, ჩვენი დიდებული მასპინძელი სამშობლოდან შორს იყო წასული. იგი სწორედ საქართველოში იყო, თბილისში. აბა, მოისმინეთ ჯაზეთ „ტიფლისსკეი ვედომოსტის“ 1829 წლის პირველი ივნისის ცნობა: „ჩვენი იმედები აღსრულდა. პუშკინი ჩამოვიდა საქართველოში. იგი ეორა ხნით იყო თბილისში. ომის ნახვის სურვილით მან ითხოვა მოქმედ არმიაში ყოფნის ნებართვა... რუსეთის სხვადასხვა კუთხეში თავისი ყოფნა ჩვენმა პოეტმა გამოსახა მისი დიდებული ქალმის ღირსი ნაწარმოებით: „ბაკჩასაიდან“ მან მოგვცა „ბაკჩასაის ტაძარ, ყირიმში დაწერა „ბაღჩისარაის შადრევანი, „ბესარაბიაში — „ბოშები, „პროვინციაში მან შექმნა ონეგინის შესანიშნავი სურათები.— ახლა ჩვენი საზოგადოება პუშკინის ყოფნას „ბაკჩასაის ჯარის ბანაკში აერთებს საუკეთესო ამბებთან და ითხოულობს: რითი დაბრუნდებოდეს საყვარელი პოეტი საშინელი ბანაკიდან?“

პუშკინი საქართველოშია... მისთვის ახლად აღმოჩენილი ქვეყანაში... საქართველოზე თავისი ბრწყინვალე შედეგრების შექმნის წინ იგი თავის დღიურში აღნიშნავს: „ქართული სიმღერების ხმა სასიამოვნოა, მე ერთი მათგანი სიტყვა-სიტყვით მითარგმნეს; იგი, ეტყობა, შექმნილია უახლეს დროში, მასში არის რაღაც აღმოსავლური უაზრობა, რომელსაც თავისი პოეტური ღირსება ანაჩნია. ეი იგიც“. და შემდეგ პუშკინი ბეგეწდის ამ ლექსის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს.

როგორც პოეტი ამბობს, ეს ლექსი შექმნილია „უახლეს დროში“. სწორად გაუგია პოეტს.

პუშკინი საქართველოში მოხვდა თავის ახალ ფეგობართა წრეში, იმდროინდელი ქართული არისტოკრატიის. ბაგრატიონიანთა, ორბელიანთა, ბარათაშვილთა, თუმანიშვილთა წრეში, რომელთაგან დიდი რუსი პოეტი უსაზღვროდ უყვარდათ და ბუნებრივია ადგილთრთოლვებით მოხვდებოდნენ საქართველოში მის გამოჩენას. უკვეა, აქ ისმენდა იგი, მისთვის ჯერ უცხო, ბაუკონარ ქართულ ენას. ქართულ ლექსს. ქართულ სიმღერას. ის ლექსიც, რომელიც მისი აზრით „უახლეს დროსაა“ შექმნილი, როგორც დოეს ინბორეია, ეკუთვნის პოეტ თუმანიშვილს: „ახალ აღნაგო სულო და ედემში ამოსულო დ...“. აქ. ამ წრეში მოისმენდა იგი ამ ლექსსაც. ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დღეს.

ივნისის პირველ დღეებშივე, როცა ჩვენ აქ, მიხაილოვსკოეში ვართ, იმ 140 წლის წინ ჩვენი მასპინძელი დაიძრა საქართველოდან და ბანაგრძობს გზას არზრუმისაკენ. მოქმედი არმიის ბანაკისაკენ. იგი გადაადგა სომხეთის მთებს და ბერეზის ციხესიმაგრესთან ასეთ სურათს ხედავს: „ურემში შემმული ორი გამწე ხარი ამდიოდა დაგრეხილი გზით. რამდენიმე ქართველი ახლდა ურემს. „საიდანა ხართ?“ — ვეკითხები. — თბილისიდან. — „რა მოგაქვთ?“ — ბრინჯეფოდეი — ეს იყო ციხეთარი მოკლული ბრინჯეფოდეიანა, რომელიც თბილისისაკენ მოაქონდათ“.

სწორედ 140 წლის წინ, სწორედ ივნისში.

კიდევ ერთი პატარა დამთხვევაც. მიხაილოვსკოე სავსეა არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული ლიტერატორებით. არამედ აქ ბევრია უცხოელი სტუმარიც — სპეციალურად დღეანდელ ზეიმზე მოწვეული. საზღვარგარეთელი მწერალიც. და რიგა ჩამი ფიქრები ტრიალებს პუშკინის „არზრუმში მოგზაურობის“ გარშემო, აგერ, ერთ მშვენიერ ხის ძირში ხელს მართმევს ჩამოჩნილი თურქი მწერალი ფაზილ ხუსნიუ დაღლარჯაპ. დაადგირდით ამ პოეტის სახელს. ამ პოეტსაც იგივე სახელი ქვია, რაიც იმ პოეტს, პუშკინს რომ შეხვდა დარიალის ხეობაში, ყაზბეგთან: მოგუსმინოთ პუშკინს: „თარჯიმანის მეშვეობით მე დავიწყე მაღალფარდოვანი აღმოსავლური მასალმება; მაგრამ როგორ შემრცხვა, როცა ფაზილ-ხანმა ჩემს უადგილო მაქციაობაზე წესიერი ადამიანის უბრალო, ჭკვიანური თავაზიანობით მიპასუხა! „ბას იმედი ქონდა, მე პეტერბურგში შემხვდებოდა; ის წუხდა, რომ ჩვენი ნაცნობობა ხანმოკლე გამოდგებოდა“ და სხვ., მე ძალუბული ვავხდი სირცხვილით უარმეყო ეს მეფდიურ - სახუმარო ტონი და ადგილი ჩვეულებრივ ვეროპულ ფრაზებზე“...

მე და ფაზილ დაღლარჯაპ აქ პირველად შევხვდით ერთმანეთს. იგი პუშკინის დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა. შესანიშნავი ლექსი წაიკითხა მიხაილოვსკოეში პუშკინისადმი მიძღვნილ მიტინგზე, მაგრამ კიდევ უკეთესები წამიკითხა ნოვგოროდში დასვენების დროს. მერე ერთად მოვიგონეთ, ერთად ვიგონებდით ის დიდი ყველენა, რაიც პუშკინის, და არა მარტო მის, შემოქმედებაზე იქონია საქართველომ, კავკასიამ, სამხრეთმა.

წელს „პუშკინის დღეები“, როგორც ყველაფერიდან ჩანს, კიდევ უფრო ფართოდ აღინიშნება. ჩვენც რა კარგს ვიზამდით, რომ შოთა რუსთაველის იუბილის დღეებში დაწესებული ჩვენი „პოეზიის დღეც“ ასევე გაგვეფართოებინა და გაგვემდიდრებინა.

* * *

სურათზე: ა. ს. პუშკინის ძეგლი თბილისში პუშკინის სკვერში.

ფოტო ს. კილაძისა.

სიახლე ტექნიკაში

200 გრადუსი ნულს ქვემოთ

ლენინგრადი. (ჩვენი კორ.). ის, რაზეც სხრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ქუთათელაძემ ილაპარაკა, მეიძლება დაუჯერებელი გვეჩვენოს: გენერატორს შიგნით, რომელიც ყოველთვის ხურდება მუშაობაში, იცავენ ტემპერატურას... 200 გრადუსს ნულს ქვემოთ!

ასეთი კრიოგენური მანქანების შექმნაზე ლაპარაკი იყო ლენინგრადის გაერთიანება „ელექტროსილას“ სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მორიგ სხდომაზე. ახლო მომავალი მათ ეკუთვნით.

რატომ აქვს ამას ასეთი დიდი მნიშვნელობა?

ცნობილია, რომ რაც უფრო მძლავრია ენერგეტიკული აგრეგატი, მით უფრო შედარებით ეკონომიურია იგი. დიდი დანადგარი შესაძლებელს ხდის დაიზოგოს ასეული ათასობით მანეთი ექსპლოატაციის ერთი წლის განმავლობაში. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საბჭოთა გენერატორების სიმძლავრე 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო უახლოესს ათწლეულში კიდევ უნდა გაორკეცდეს. დღეს „ელექტროსილაში“ არსებობს 1,2 მილიონი კილოვატი სიმძლავრის მანქანის პროექტი, ხოლო პერსპექტივაშია „ორმილიონიანი“.

მაგრამ ამ გზაზე უდიდესი, პროგრესულად მზარდი ტექნიკური სიძნელეებია — მანქანების ზომამ და წონამ ზღვარს მიაღწია. ეი იმავე გაბარიტებში გაცილებით უფრო მეტი სიმძლავრე რომ ჩაეტიოს!

ამ მიმზიდველ მიზანს შეიძლება მივაღწიოთ, თუ გავადიდებთ გენერატორული ერგანილების უნარს გაატარონ დენი ისე, რომ გააცივონ იგი მინუს 200 გრადუსამდე. ამ „ეოსმოსური“ ტემპერატურისადმი გამტართა წინაღობა 25-ჯერ მცირდება. მაშასადამე, ყველა დანარჩენი პირობებისას მიხერხდება გენერატორის სიმძლავრის ხუთჯერ გადიდება. ბუნებრივია, რა თქმა უნდა, რომ ამ მოგების ნაწილი გამაცივებელი სისტემის მუშაობას მოხმარდება.

მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ერთბაშად ესოდენ მკვეთრი თვისებრივი ნახტომი წარმოუდგენელია. წინ მეტად დიდი გამოუცნობი სფეროა. ღრმა სიცივის პირობებში ხომ მყიფე გახდება ლითოხები, საჭირო იქნება იზოლაციის სხვა სახეები... ყოველივე ეს მოითხოვს ვრცელ გამოკვლევებს და გარდამავალ ფაზას ზომიერი გაცივების სახით— მინუს 10-20 გრადუსამდე, რის უზრუნველყოფაც შეიძლება თხევადი ფრეონის გამოყენებით.

ს. ს. ქუთათელაძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თბოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორია. იქ ახლა ლენინგრადელ მეცნიერებთან თანამეგობრობით შექმნილია 3 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი საცდელი ტურბოგენერატორი, რომელშიც გამოყენებულია ფრეონით გაცივება. ეს პირველსახეა 200-300 ათასი კილოვატი სიმძლავრის მანქანისა, რომელშიც გამოყენებული იქნება ინტენსიური გაცივება ფრეონით. მის ტექნიკურ პროექტს „ელექტროსილაში“ შეიმუშავებენ. წარმოებს ძიება თხევადი აზოტით, წყალბადით, ჰელიუმით გაცივების სისტემებისა, რომლებიც მინუს 200 გრადუს და უფრო დაბალ ტემპერატურას იძლევიან.

ამასთანავე გრაგნილების დენგამტარობის გადიდება შეიძლება, თუ მათ დავამზადებთ ქიმიურად წმინდა ლითონებისაგან — ალუმინისაგან, ბერილიუმისაგან. ტექნიკის პროგრესი საფუძველს გვაძლევს მოველოდეთ, რომ შეიქმნება სრულიად ახალი მასალები ელექტრომანქანათმშენებლობისათვის. მაგალითად, წყალბადზე ასეული ათასო�ტი ატმოსფეროს ძალით დაწნევა რომ მოვახდინოთ, იგი ალუმად გადაიქცევა ლითონის მსგავს ნივთიერებად, რომელიც დენის ეფექტური გამტარი იქნება. კერძოდ ეს აღნიშნა ს. ს. ქუთათელაძემ.

ო. კარიშევი.

ეცნობოთ ამ ქვეყანას?

მექსიკის ციხის ქვეშ

ახლა მილიონობით ადამიანის ყურადღება მიმართულია მექსიკისაკენ, სადაც მიმდინარეობს დიდი სპორტული ასპარეზობა — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ჩვენი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ზოგიერთი პატარა ცნობა ლათინური ამერიკის ამ ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის შესახებ.

დღევანდელობა...

● სახელწოდება მექიკო წარმოსდგება აცტეკის ომის ღმერთის მეხიტლის სახელისაგან.

მექსიკა, რომლის ფართობი 1.969 ათასი კვადრატული კილომეტრია, 29 შტატისაგან შედგება.

ევროპელებისათვის მექსიკა აღმოჩნა ჟუან გრიალვამ 1518 წელს, და უკვე 1519-21 წლებში ეს ქვეყანა დაიპყრო ესპანელმა კონკისტადორმა კორტესმა.

ქალაქი მეხიკო ზღვის დონიდან 2.278 მეტრზე მდებარეობს. ქალაქში ცხოვრობს 8 მილიონზე მეტი კაცი.

● კონსტიტუციის მიხედვით (1917 წ.) მექსიკა ფედერაციული ქვეყანაა, ფაქტიურად კი იგი უნიტარული რესპუბლიკაა. პრეზიდენტს ირჩევენ 6 წლით.

გაბატონებულია კათოლიკური რელიგია, სახელმწიფო ენაა — ესპანური.

ფულის ერთეულია პესო, რომელიც 100 სენტავოს უდრის.

● 1916 წელს მექსიკაში გამოშვებულ იქნა პირველი მხატვრული ფილმი „საბედისწერო სიამაყე“, ხოლო 1932 წელს — პირველი ხმოვანი ფილმი „წმინდანი“, 1952 წლისათვის ქვეყანაში არსებობდა 7 კინოსტუდია.

ამერიკის კონტინენტზე ერთ-ერთი უძველესია ქალაქ მეხიკოს ეროვნული უნივერსიტეტი, რომელიც 1551 წელს არის დაარსებული.

ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ბიბლიოთეკაა მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ეროვნული ბიბლიოთეკა. იგი დაარსებულია 1857 წელს (800 ათასი ტომი).

● მექსიკა მდიდარია მინერალური რესურსებით და იგი მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამთო სამრეწველო ქვეყანაა.

მრეწველობის უმთავრესი დარგია ნავთობის მოპოვება. „კაპიტალისტური სამყაროს ვერცხლის წარმოების ორი მეხუთედი მექსიკაზე მოდის, ტყვიის მხრივ კი მას მეორე-მესამე ადგილი უჭირავს, ხოლო თუთიის წარმოებაში — მეოთხე.

ყავის წარმოების მხრივ 1959 წელს მექსიკას მსოფლიოში მესამე ადგილი ეჭირა.

● მექსიკის მოსახლეობის ძირითადი სავაჭრო სიმინდი, ლობიო, ყველი, თევზეული.

ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი კერძია შემწვარი კრევეტი ანუ კიბო, ასევე რვაფეხას მოხარშული ხორცი.

უმთავრესად გავრცელებულია ნაციონალური სასმელი — პულკი და მათრობელა მესკალი, რომელიც კაქტუსისაგან მზადდება.

● მამაკაცებისათვის საგალდებულოა ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდის — სომბრეროს ტარება.

მეტად პოპულარულია მამლების ძიძგინი, დოღი, ჯირითი, ეგრეთწოდებული ტორეო (ხარის ჭიქარა ქმა-



ნდით, მისი წაქცევა და ზედ შეხტომა).

სახალხო გასართობებიდან ყველაზე დამახასიათებელია ხარებთან ბრძოლა, რომელიც მე-16 საუკუნეში ესპანელებმა შემოიტანეს. ხარებთან პირველი ბრძოლა მექსიკაში 1529 წელს გაიმართა. ახლა კი ყოველ კვირაღდეს რეგულარულად (ამას ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატმაც ვერ შეუშალა ხელი) ეწყობა ხარებთან ბრძოლა, კერძოდ, მეხიკოს სპეციალურ სტადიონზე, რომელსაც „ალთა დელ ტოროს“ ეწოდება, იჯდეს 50 ათას მაყურებელს.

და... ცოტა ოდენი ისტორია

● მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა უძველესმა ტომმა — აცტეკებმა (მაიასა და ტოლტეკების შთამომავლებმა) 1427-1440 წლებში შექმნეს ძლიერი სახელმწიფო.

● აცტეკები წელიწადში 18 მთავარი დღესასწაული ჰქონდათ. მეტად სასტიკი იყო რელიგია — ღმერთებს მსხვერპლად უამრავ ადამიანს სწირავდნენ. ომის ღმერთს, მაგალითად, მსხვერპლად სწირავდნენ ყმაწვილ კაცებს. ქურუმი მსხვერპლს ხანჯლით უპობდა მკერდს, ხელით გამოჭრნდა გული და იქვე აგდებდა ღვთაების ქანდაკებასთან. გულს სჭამდნენ ქურუმები, ხოლო სხეულს, რომელსაც დაავორებდნენ პირამიდების საფეხურებიდან, არისტოკრატთა წრის წევრები ინაწილებდნენ; ნაყოფიერების ქალღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ ქალიშვილებს. სამსხვერპლოდ განწირული ქალწულები წითლად და ყვითლად იყვნენ შეღებილნი, რაც სიმინდის სიმბოლოს წარმოადგენდა. ადამიანთა მფარველი ღმერთის — ხიპეს პატივსაცემად კი ქურუმები ყმაწვილებს ცოცხლად აძრობდნენ ტყავს. ტეოტიუაკანის ღმერთს სამსხვერპლო ტყვეებს სწირავდნენ. დიდ კოცონში ცოცხლად ისროდნენ შებორკილ ტყვეებს.

აცტეკთა რელიგია ბავშვებსაც კი არ ინდობდა. გვალვის დროს კლავდნენ გოგონებსა და ბიჭებს, რათა წვიმის ღმერთისათვის მოელოთო გული. ასევე ხოცავდნენ ბავშვებს მაშინ, როდესაც სიმინდი ამოყრილდა ტანს. ბავშვებს აჭრიდნენ თავებს, ხოლო სხეულს, როგორც რელიგიას, მთიან გამოქვაბულებში ინახავდნენ. სიმინდის დამწიფების დროს კი ქურუმები ხუთი-ექვსი წლის ოთხ ბავშვს იყიდდნენ, ჩაკეტავდნენ სარდაფებში და შიმშილით ხოცავდნენ.

მეცნიერთა აზრით, აცტეკთა სახელმწიფოში ყოველწლიურად ადამიანთა მსხვერპლი შეწირვის სახით 20-30 ათას აღწევდა.

● პირველ ადგილზე იდგა ბურთის თამაში, ე. წ. „ტლაჩტლი“, რისთვისაც ყოველ ქალაქში არსებობდა სპეციალური სტადიონები. მოთამაშეებს უნდა შეეგდოთ რეზინის ბურთი (ინდიელები უკვე იცნობდნენ კაუჩუკს) კედელზე მიმაგრებულ სალტეში. წესების მიხედვით აკრძალული იყო ხელებით, ფეხებით და თავით თამაში, ბურთის მოგერიება მხოლოდ ბარძაყით შეიძლებოდა. ზოგიერთი მოთამაშე, შემდეგდროინდელი ტორეადორის მსგავსად, სახლეხო გმირი ხლებოდა.

ტლატელოლკოში ნაპოვნი ბურთით მოთამაშეთა კერამიკული ფიგურები ძველი წელთაღრიცხვის 1.500-იანი წლებით თარიღდება.

● სპინტრენსია აცტეკელთა კანონმდებლობა. მაგალითად, ლოთობა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და ლოთი სიკვდილით ისჯებოდა. თუ ოჯახის მეთაური დაითვრებოდა, ოჯახის წევრებს უფლება ჰქონდათ იქვე მოეკლათ. იგი კომბლით, სადაც მას უგონო მდგომარეობაში ნახავდნენ. სმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმ მამაკაცებს, ვინც 70 წელიწადს გადაბიჯებდა.

სიკვდილით დასჯა იყო ბათალისწინებული მინდვრად სიმინდის ქურდობისთვისაც. ქურდს ჩაქოლავდნენ ხოლმე.

● მსაანიშნავი მიღწევები ჰქონდათ ძველ მექსიკელებს მედიცინაში, მეზოსტნეობის, მეფრინველეობის დარგებში. ინდაური პირველად მათ მოაშინაურეს. სიტყვა ტომატი (აცტეკურად ტომატლი) ახლა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, სიტყვა სიგარა, რომელიც ასევე ყველგან არის ცნობილი, ძველი მაიას ტომის სიტყვაა: კაკაო და შოკოლადი წარმომდგარია აცტეკური ჩოკოატლისა და კაკაუტალისაგან.

ესპანურსა და სხვა მრავალ ენებში, მათ შორის რუსულ ენაშიც გავრცელებულია სიტყვა „ურაგანი“. იგი მაიას ჯაეფის ტომის — კიჩეს ენიდან არის წარმომდგარი ელჭექის ღმერთის ხურაკანის მიხედვით.

შეკრიბა

ს. ნუცუბიძემ.



ავზაზეთის ასსრ. ამ დღეებში რიწის ტბაზე ათასობით ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდის. აქ ყველაფერი მზად არის იმისთვის, რომ ტურისტებმა სათანადოდ დაისვენონ, დატკბნენ ბუნების სილამაზით. სურათზე: რიწის ტბაზე ტურისტები სეირნობენ კატარღებით.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნაირ-ნაირი

შუქგაზეთი რიგის თავზე

მრავალფრად აკიაფდა რიგის თავზე ქალაქის გერბი და უზარმაზარი შუქტაბლო (34 მეტრი სიგრძისა და 1,5 მეტრი სიმაღლისა). შუქგაზეთი დაყენებულია სასტუმრო „რიგის“ თავზე. იგი შედგება სამი განყოფილებისაგან: უკანასკნელი ცნობები, ინფორმაციები, რეკლამა და განცხადებები. გამოდის რუსულ და ლატვიურ ენებზე, გადაცემის ხანგრძლივობაა 15 წუთი, მეორდება ყოველი სამი საათის შემდეგ.

საქალაქო შუქგაზეთის „რიგას ბალსის“ პირველ ნომერში მოთხრობილი იყო რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა ახალ ნამუშევრებზე, სპორტის ხასასლის გახსნაზე, ლატვიელი ავიატორების მიერ ათვისებულ რიგა-ველენჯიკის საჰაერო ხაზზე.

გაზეთისათვის უნიკალური აპარატურა შექმნილია რიგის ლენინის სახელობის ელექტროტექნიკურ ქარხანა ვეფ-ში.

შუქგაზეთი საღამოობით გამოდის, ხოლო შემოდგომისა და ზამთრის დღეებში დილითაც გამოვა.

მონადირე ხარი

გეოქ-ტეპეს რაიონის (თურქმენეთის სსრ) ტილმანის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი ოშანკული ადა ყურბანოვი ჩვეულებრივ კოლმეურნეობის ძროხების ნახირს აძოვებდა კოპეტდაღის მწვანე ფერდობზე. გამამაძღარი ძროხები ისვენებდნენ. მწყემსიც მათ ახლოს წამოწვა.

უცებ მან დაინახა, თუ როგორ წამოიშალა მთელი ნახირი და ძროხები მთიდან ჩვეულით დაეშვნენ. ზემოთ მხოლოდ ხარი კარა დარჩა.

ოშანკული-ადამ იმ ადგილს მიაშურა, სადაც ძროხები ძოვდნენ. მის თვალწინ უჩვეულო სურათი გადაშალა: ხარს რქებით მიწაზე მიეჭრა მგელი. მწყემსს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ გაეტაკებინა „დაუპატიჟებელი სტუმარი“.

(საკდესი).

კომფორტის მოყვარული

შვებულებაში წასული ცოლ-ქმარი ცუდი ამინდის გამო მოულოდნელად დაბრუნდა ლუქსემბურგში. ისინი წუთით შეყოვნდნენ თავიანთი ბინის კართან. უეცრად აბაზანის ოთახიდან უცნაური ხმაური შემოესმათ. ქმარს ეშვი შეეპარა, რომ მის ბინაში ვიღაც იყო. სასწრაფოდ შეეგება მეზობელთან და დარეკა პოლიციაში. მოსული წესრიგის დამცველები უცნაური სურათის მოწმენი გახდნენ. დერეფანში მათ ნახეს წასაღებად გამზადებული ბარგი, ხოლო ქურდი აბაზანაში ბანაობდა და თან მხიარულად მღეროდა.

რიგის საერთაშორისო

ლატვიის დედაქალაქში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება მძლოსნობაში რიგის თასზე. მონაწილეობა შორის იყვნენ ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, პრიზიორები.

უკანასკნელ დღეს წარმატებით გამოვიდნენ მტყორცნელები. მაგალითად, ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონმა მინსელმა რ. კლემმა ურო ტყორცნა 71 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე და პირველი ადგილი დაიკავა. ი. ვასილიევმ (გორკი) მეორე იყო — 67 მეტრი და 6 სანტიმეტრი.

საზღვარგარეთელი სპორტსმენებიდან რიგის თასის პირველი მოლოდინი გახდა ედმუნდ სიარაფეი (კრაკოვი). 400 მეტრზე თარჯრბენში მან აჩვენა 52,2 წამი. მეორე და მესამე ადგილზე გამოსულმა სპორტსმენებმა ი. სინიაკოვმა (ხარკოვი) და ჰ. რუდოლფმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) აჩვენეს დრო — 52,3 წამი

ისევე როგორც შარშან, ბადროს ტყორცნაში ქალთათვის წარმატება ხვდა ლენინგრადელ ო. დანილოვას — 56 მეტრი. საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ქალთათვის 200 მეტრზე რბენაში. რიგის თასის ორგზის მოლობელმა ლ. სამოტიხოვამ (ბრიანსკი) შედეგად — 24,5 წამი პირველი ადგილი დაიკავა. მან რიგელ ა. დუნდარს 0,3 წამით ჩაუსწრო. უკანასკნელი თასი მძლეოსანთა ტურნირზე მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა რ. ბაუდისმა. მან სამაღლეზე ხტომაში დაძლია 2 მეტრი და 15 სანტიმეტრი. სიგრძეზე ხტომაში ვაჟთათვის წარმატება ხვდა ი. ტერ-ოვანესიანს — 7 მეტრი და 91 სანტიმეტრი.

„შესვენების“ შემდეგ

დრეზენი სიწყნარე უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში გამოწვეული იყო სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩებით.

ასეთი „შესვენების“ შემდეგ დღეს კვლავ განახლდება ბრძოლა. კვირას ერთადერთი მატჩი შედგება. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები. ორშაბათს კი შედგება 6 მატჩი — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი), „შახტორი“ (დონეცკი) — „ზარია“ (ლუგანსკი), „დინამო“ (კიევი)—არმიის სასპორტო კლუბის გუნდი (დონის როსტოვი), „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „ნეფტჩი“ (ბაკო), „არარატი“ (ერევანი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).

თბილისის დინამოელები ბრძოლაში 15 ივნისიდან ჩაებმებიან. მათ მატჩი ეძღვნებათ ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკთან“.

პრიზები მოიპოვეს...

საერთაშორისო შეჯიბრებას ველოსიპორტში „ლენინგრადის დიდ პრიზზე“ ფინიში აქვს. მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, დანიის, რუმინეთის, იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ველომრბოლები.

სპრინტერული რბოლაში ქალთათვის უძლიერესი იყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გალინა ერმოლაევა, რომელსაც გადაეცა ერთ-ერთი მთავარი ჯილდო. ასეთივე ჯილდო ხვდა 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში დადაენებით გამარჯვებულს ვიტალი ნაზარენკოს (ბელორუსია).

ჯგუფურ რბოლაში (60 წრე) გაიმარჯვა ტაშკენტელმა ვ. ერაკინმა, მეორე იყო რიგელი დ. ლიცისი, მესამე — დ. პანკოვი (ბელორუსია).

ჯროგრამა შეიცვალა

7 ივნისი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურის ბოლო დღეა. გაიმართება 4 მატჩი. პირველი ჯგუფიდან ერთმანეთს შეხვდებიან სალვადორისა და მექსიკის გუნდები, მეორე ჯგუფიდან — შვეიცარიელის, მესამე ჯგუფიდან ბრაზილია-ინგლისის და მეოთხე ჯგუფიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბულგარეთის გუნდები.

ამავე დღეს ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით უჩვენებენ ორ შეხვედრას — სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდების 6 ივნისის მატჩის ვიდეოჩანაწერს — 16 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით, ხოლო ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს გვადალახარ ა ტ ვ ნ ვნახავთ 21 საათსა და 50 წუთიდან.

ორშაბათს 19 საათსა და 15 წუთიდან თბილისის დროით (პირველი პროგრამა) ვნახავთ ფფრ-სა და ბულგარეთის გუნდების 7 ივნისის შეხვედრის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერს.

კომუნისტი ჯროგრამა

ჩემპიონთა თასზე

გრძელდება შეჯიბრება ფრენბურთში ვაუთა გუნდებისათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე. წარმატებით გამოდის ალმა-ატის „ბურევესტნიკი“. ალმაატელი ფრენბურთელები პირველ ნახევარფინალურ მატჩში სლოვარ მოიდანზე შეხვდნენ უნგრეთის საკლუბო გუნდ „ჩეპელს“ და გაიმარჯვეს 3:0 (15:4, 15:8, 15:12).

ეახლი ბირმელებთან

საბჭოთა კავშირში ტორნეს მართაეს ბრძოლა ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი სტუმრებს ჰქონდათ 5 ივნისს მოსკოვში დიდა-ქალაქის „ტორპედოსთან“ და დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. ტორპედოელებიდან ეოლეგის ავტორიტეტი იყვნენ სმირნოვი, სიარჩენკო და დიკტიარიეი. მორიგი მატჩი ბირმელებს ეძღვნებათ ზაპოროჟიეში უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

გუშინ გორში

გაიმართა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-12 ტური. ანდრეევამ მოუგო კახაბრიშვილს, კოროშინაძემ — ალექსანდრიას. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ლიდერს — ნიკოლაუს 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

8 ივნისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები და საცეკვაობები, 09.25 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კვინტეტი და რომანსები, 11.05 — ბ. გლინკა. ნაწყვეტები ოპერა „რუსლან და ლუდმილადან“, 11.45 — სიმღერები ნ. აბესაძისა და ს. კორაშვილაძის შესრულებით, 12.10 — საუბარი „ფართო გზა — შრეკინოელთა ინიციატივას“, 12.25 — სინესალო. ფანტაზია კარელიური ხალხურ თემებზე — „კარელიური სურათები“ და სიუიტა „სურათები სიბავშვო ცხოვრებიდან“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოწვეულთათვის ციკლიდან „მოგზაურობა ცოლის სამყაროში“, რაღიოდადგმა „მეცნიერება და ფანტასტიკა“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — ა. პაპშუტოვა. კონცერტი საყვარისა და ორკესტრისათვის, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „სკკპ ისტორია“ (სწავლების მეორე წელი), საუბარი „სკკპ მოღვაწეობის ისტორიული შედეგ